№ 34 16 თებერვალი, ხუთშაბათი 1866—1878 16 თებერვალი, ხუთშაბათი № 34

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ив. Абирагвовის სახლში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ив. Абирагвовის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. Გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

უოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულად, რუსულს, სომხურს და ებრაულ.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცერონთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ 1878 წელს უოველ-დღიური გაზეთი

„დროება"

გამოდის იმავე პროგრამითა და მიმართულებით, როგორც დღემდინ გამოდიოდა ხოლმე.

ხელის-მოწერა

Тифлисъ—„მიიღება Дроэбის" редакциаში (სერგიევის ქუჩაზე, Ив. Абирагвовის სახლებში).

Гареше мцховрebтa ამ адресით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ Редакцію „Дроэба".*

ფასი გაზეთისა

მთელის წლისა	8 მან.	„ კაპ.
ექვსის თვისა	4 „	50 „
ოთხის თვისა	3 „	„ „

Umorhilesi თხოვნა ხელის-მომწერებსა და აგენტებს: ხვედრი ფული გაზეთისა იმის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს გამოგზავნილი; თუ არ აგენტების საშუალებით, ისე რედაქცია უფულოთ გაზეთს არავის არ გაუგზავნის.

ტელეგრამები

ვენა, 13 თებერვალს. Ავსტრო-Ვენგრიის მმართებლობას განზრახვა აქვს, რომ ხალხისწარმომადგენლები(დელეგაციები) მოიწვიოს იმ ჰაზრით, რომ მოსთხოვოს იმათ უფლება ხაზინიდამ 50-100 მილიონი გულდენის დახარჯვისა.

ამ დღეებში სამინისტროს თავსმჯდომარემ გრაფ ანდრასჩიმ მოიწვია უფრო გაელენიანი პირები დელეგაციებისა და გამოუცხადა იმათ, რომ ეს ფულები მხოლოთ იმიტომ ეჭირება მმართებლობას, რომ იმას ჰქონდეს რაიმე დამტკიცება ხალხის თანაგრძნობისაო. ამგვარი დამტკიცება თანაგრძნობისა ჩვენ უფრო მომეტებულ ღონეს მოგვცემსო, სთქვა ანდრასჩიმ, და მაშინ უფრო მტკიცეთ შეგვიძლია მომავალს კონგრესზე ავსტრიის ინტერესები დავიცვათო და, თუ საჭირო იქნება, ჯარიც გამოვიწვიოთო. მაგრამ იმედი კი მაქვსო, რომ ჯარის გამოყვანამდინ საქმე არ მიეარდებაო.

ამავე საგანზე გრაფ ანდრასჩიმ მინისტრების რჩევაშიაც ჩამოაგდო ლაპარაკი; ვენგრიის მინისტრები ყველა სიამოვნებით დათანხმებულან იმის წინადადებაზე. ვენგრიის სეიმმა ფულის თაობაზედ კი არა, ჯარის გამოყვანაზედაც სრული თანხმობა განაცხადა.

გაზეთები გაცხარებით ლაპარაკობენ ახლანდელს მდგომარეობაზე. ანდრასჩის მომხრე გაზეთებში პირ-და-პირ ომის გამოცხადებას თხოულობენ. ტრანსილვანიაში დიდი მზადებაა ჯარისა და სამხედრო მასალებისა.

ვენა, 13 თებერვალს. აქ ჰფიქრობენ, რომ უკმაყოფილება ავსტრო-ვენგრიისა და რუსეთისა იმით გათავდებაო, რომ ავსტრია ბოსნიასა და ჰერცოგოვინას დაიჭერს თავის ჯარებითაო. ავსტრია ფულებზედ სუსტად არის; მაგრამ ამბობენ, ინგლისმა დაჰპირდაო იმას, რომ ომისათვის რამდენიც დასჭირდება უშოვნის. ერთს ვენის გაზეთს სწერენ ბერლინიდამ, რომ ბერმანია წინააღმდეგობას არ გამოაცხადებსო, ავსტრიამ ბალკანის ნახევარ-კუნძულის ერთი ნაწილი რომ დაიჭიროსო.

ომის ამბები

ომისთვის მზადება

ავსტრია ომისათვის ემზადება: დღეანდელის ნომრის ტელეგრამებიდამ შეიტყობთ, რომ ავსტრო-ვენგრიის სამინისტროს თავსმჯდომარეს გრაფ ანდრასჩის განზრახვა აქვს, ხალხის წარმომადგენლები (დელეგაციები) შეკრიბოს და მოსთხოვოს მათ, რომ მმართებლობას მიეცეს უფლება ომიანობის საჭიროებისათვის 60,000 მილიონი მანეთი დახარჯოს ხაზინიდამ.

ბრაფ ანდრასჩი მოთავეა იმ პარტიისა, რომელსაც ჰსურს, რომ რუსეთს ომი გამოუცხადოს, თუ ის არ დათანხმდება ავსტრიისაგან წარდგენილს პირობებზე; ეს პირობები, როგორც ამ დღეებში მოსულმა დეპეშამ გვაცნობა იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთმა ბოლგარიიდამ და რუმინიიდამ გაიყვანოს თავის ჯარები მტერთან მორიგებისათანავე; თუ ეს არ აასრულა, ავსტრო-ვენგრია იმწამსვე ბოსნიასა და ჰერცოგოვინას დაიჭერს თავის ჯარებითაო.

შეეჭველია, რომ ავსტრიას ინგლისის იმედი აქვს, თორემ ასე გაბედვით მოქმედებას ვერ დაიწყებდა. უმთავრესი დაბრკოლება ავსტრიისათვის ამ ომში უფულობა იქნება და ამ მხრით მოელის ის ინგლისისაგან დახმარებას.

„პეტერბურლის უწყებებში" დაბეჭდილი ტელეგრამმა გვაცნობებს, რომ ავსტრიის პოლშელებს განზრახვა აქვთ მოითხოვონო, რომ მომავალს კონგრესზე, სხვათა შორის, პოლშის მდგომარეობაზედაც იქმნეს მოლაპარაკებაო.

ბელგიურს გაზეთს „Indépen. Belge"-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 5 თებერვალს ვენიდამ მიღებული:

„გაცხარებული მიწერ-მოწერა და დეპეშების გაგზავნ-გამოგზავნა არის ამ ჟამად ავსტრო-ვენგრიისა და ინგლისის მინისტრებს შუა. ინგლისი ძალიან ცდილობს, რომ ავსტრო-ვენგრია დაიყოლიოს და მიიმხროს ამ აღმოსაელეთის საქმეების გადაწყვეტის დროს. ნამდვილად ამბობენ, რომ გრ. ანდრასჩიც თავის ხერით ცდილობსო, რომ ინგლისთან ერთათ მოქმედების პირობა შეჰკრასო. თუ ომი ატყდა, რაღა თქმა უნდა, რომ ინგლისი იმდენ ფულს მისცემს

ავსტრიას, რამდენიც კი დასჭირდება.“

ბერმანიის მონაწილეობა ამ განხეთქილებაში, როგორც იწერებიან, ის იქნება, რომ ეცდება მოწინააღმდეგენი დაამშვიდოს და მოარიგოს. თვითონ თ. ბისმარკმა სთქვა, რომ ბერმანია არამცდა-არამც არ გაერევა ამ ომშია, აღმოხველეთის საქმეების გადაწყვეტაში იჰას არავითარი ინტერესი არა აქვსო, ბერმანია ეცდებაო მხოლოთ საზოგადო განხეთქილება და ევროპის ომი არ ატყდესო.

გაზეთებმა ასე განმარტეს თ. ბისმარკის სიტყვა, რომ თუნდაც ავსტრიამ და ინგლისმა გამოუცხადოს რუსეთს ომი, ბერმანია მაინც არ მიიღებს ამ ბრძოლაში მონაწილეობასაო, ის მარტ იტალიასა და საფრანგეთს გაჩერებსო.

შერიგების თაობაზე

ჩვენი გაზეთის გუშინდელს ნომერში დაბეჭდილი იყო ოფიციალური დეპეშა, რომელშიაც გვაცნობა, რომ დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ერთის პოლკითა, ერთი როტით და თავის ამალით უნდა შესულიყო სტამბოლში...

ეს შესვლა სამეფოდ მოქმედება არ არის, ეს რუსის ჯარისაგან სტამბოლის დაჭერას არ მოასწავებს. დიდი მთავარი შედის სტამბოლში ისე, როგორც ხონთქრის სტუმარი.

ამ ნაირად ორივე მოწინააღმდეგის თავმოყვარეობა დაკმაყოფილებული იქნება: რუსეთმა თავის ჯარი მაინც შეიყვანა სტამბოლში და ოსმალეთი როგორც სტუმარს, და არა როგორც მტერს, ისე შეხვდავს ამ ჯარს და იმის წინამძღოლს... ამის წინაღმდეგს ვერც ინგლისი და ვერც სხვა სახელმწიფოები იტყვიან რასმეს...

—

ლონდონის გაზეთს „Times“-ში იწერებიან 6 თებერვალს სტამბოლიდამ:

„დიდძალ ჯარს აგროებენ რუსები სტამბოლის მახლობლად; მაგრამ გადაწყვეტილია, რომ ეს ჯარები სტამბოლში აღარ შემოვლენ. ეს გადაწყვეტილება, როგორც ნამდვილად ამბობენ, რუსებმა მას შემდეგ მიიღეს, რაც ინგლისმაც თავის მხრით აღუთქვა, რომ ის მოაცილებს სტამბოლს თავის სამხედრო ხომალდებსა.

„აქაურ ოსმალებს, სხვათა შორის ძალიან არ მოეწონათ ის ბუსლი რუსეთისაგან წარმოდგენილ მორიგების პირობებისა, რომელშიაც მოხსენებულია, რომ არც ერთს მაჰმადიანს არ ექნება უფლებაო, რომ მომავალს ბოლგარიის სათავადოში იცხოვროსო.“

—

ვენის გაზეთს „Presse“-ში მოყვანილია შემდეგი ჰაზრი მითხად-ფაშისა ახლანდელი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ:

„მითხად-ფაშა ამბობს, რომ დღეის შემდეგ უეჭველიაო, რომ ოსმალეთი და რუსეთი მორიგდებიან და ეს მორიგება საუკუნო მშვიდობიანობას დაამყარებს ამ ორ სახელმწიფოს შუაო (?). იმის ჰაზრით, ინგლისმა ულალატა ოსმალეთს, რადგან გაჭირების დროს მიატოვა და არ დაეხმარა, და ამის გამო ოსმალეთი და ინგლისი ამიერიდგან ერთმანეთის მტრებად ჩაითვლებიანო (?).“

—

ზემოხსენებულისავე გაზეთის სიტყვით, რუსეთს ჰსურს, რომ ოსმალეთის წარმომადგენელად მომავალს კონგრესზე მითხად-ფაშა იყოს, რადგან მაშინ უფრო ადვილად დაემორჩილება ხალხი იმ მორიგების პირობებს, რომელნიც მითხად-ფაშისაგან ხელ-მოწერილი იქნებაო. ამას გარდა რუსეთის განზრახვა კიდევ ის არის, რომ ამ გვარის საშუალებით მითხად-ფაშა, რომელსაც ასეთი სახელი, და პატივი აქვს ოსმალეთში, შეაძულოს თავი თანამემამულეებს.

—

გაზეთის „ოპზერვერის“ ყარსელი კორრესპონდენტი უფ. ნ. აბველედიანი აგვიწერს იქაური სომხების მდგომარეობას; ის ამბობს, რომ იქაური სოფლისა და ქალაქის უბრალო ხალხი იმდენად შეძლებული და მდიდარიაო, რომ ყველას უკანასკნელი ორი წლის სარჩო ხორაგი აქვს დამზადებულიო და სახლის აეეჯულობა და მოწყობილობა ბლომათ და ხმირად ვერცხლისაო. სომხებს ჰქონიათ ყარსში თავისი შკოლა, რომელშიაც ყველაფერს თავის ენაზე ასწავლიდნენ და ოსმალოს მთავრობა არასოდეს არ ერეოდა თურმე ამ საქმეში.

„მე ვკითხე ყარსელ სომხებს, ამბობს კორრესპონდენტი, მართლა ისეთნაირათ იყავით თქვენ ოსმალებისაგან შეეიწროებული, როგორც ამბობდნენ და იწერებოდნენო; მაგრამ ამაზე არავითარი პასუხი არ მომკეესო. სთქვეს მხოლოთ, რომ ხანდისხან ქურთები აწუხებდნენ იმათ, მაგრამ როგორც პრზრუმის ვალის შეატყობინებდნენ, იმ წამსვე სრულს დაკმაყოფილებას მიიღებდნენ.“

—

ვენის გაზეთის „Tagblatt“-ის სიტყვით, სერბიის მმართველობა ამჟამად ხელ-ახლად აგროვებს ჯარებს და მილიციებს; ყველა აფიცრებსა და სალდათებს, რომელნიც დროებით შინ გაშვებულნი იყვნენ, ბრძანება მოუვიდათ, რომ თავიანთ პოლკებში დაბრუნდნენ.“

საქართველო

დღიური

*** ჩვენ ქალაქსა და ფოთს შუა ეს ორი დღეა იზა შეიკრა. ბელაგორიდამ დაწყებული თითქმის სურამამდინ ერთ არშინზე მეტი თოვლი სდევს თურმე რკინის გზის რელსებზე, ზოგან მიწიც ჩამოქცეულა და ამ ნაირად გზა სრულიად გაფუჭებულია და მისვლა-მოსვლა არ არის.

ჩვენ გვითხრეს, რომ ექვსასი მუშა მეტი არის გაფუჭებული გზის გასაწმენდათ დაყენებულიო და ამ სამ-ოთხ დღეში იმედია ამ გზას გასწორდეს.

*** ჩვენ მივიღეთ დაწერილებული ამბავი იმ მკვლელობის თაობაზე, რომელიც გასულ შაბათს 11 თებერვალს მოხდა ჰავლაბარში. საქმე აი როგორ ყოფილა:

ცოლს არ ჰყვარებია ქმარი და დიდი ხანია ჰქონია განზრახვა, რომ თავიდამ მოეშორებინა. ამ უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში ეს კაცი სადღაც მგზავრად ყოფილა წასული და ამ დროს ცოლს საყვარელი გაუჩენია. ქმრის დაბრუნებისა-თანავე ცოლ-ქმარში მუდამ დღე ერთი ჩხუბი, აყალ-მაყალი იყო თურმე. ბასულ შაბათს ამათ მეზობლად მდგარის დედაკაცის ძმას—მილიციონერს აპრამ შიუკოვს შეურიგებია ესენი და ქმარს, ცოლს, იმის ძმასა და საყვარელს ყველას ერთად დრეება გაუტარებიათ.

მეორე დღეს, შუალამისას, ძეზობლებს რაღაც ჩოჩქოლი გაუგონიათ იმ ოჯახში. ხალხებული მილიციონერიც ამდროს იქ ყოფილა, გარდაუცვამს ახალუხი, შევარდნილა მეზობლისას და უნახავს, რომ საწყალი კაცი ყელ-გამოჭრილი აგდია ძირს... იმწამსვე ჯერ იმის ცოლის ძმისთვის უტაცნია ხელი, მერე ეუღია თოფი და ქალის საყვარელს გამოსდევნებია. იმ სახლიდამ ოცს საჟენზედ მოსწვევია, მოუღერია თოფი და დაუყვირია: „დამნებდი, თორემ მოგკლავო!“ ისიც დამორჩილებია, უკან წაუყვანია და ყველა ერთად შეუჭყვდევია იმ ოთახში, საცა იმათი მოკლული კაცი იყო ფებოდა. შემდეგ წამოსულა ყაზარმებში, წაუყვანია იქიდამ რვა თოფიანი სალდათი, ეს ქალი და ორი მკვლელი შეუკრავთ და პოლიციისთვის ჩაუბარებიათ. იმ მილიციონერის სიმარჯვესა და ძნელობას აქებენ...

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ გუშინწინ, სამშაბათ ღამეს, ქალაქის საავათმყოფოს ჭკუა-შეშლილების განყოფილებაში ერთს გიჟს ავათმყოფს ამ საავათმყოფოს მოსამსახურე (სტოროჟი) მოუკლავს. აბბობენ, რომ ამ მოსამსახურეს, რომელიც იმ ღამეს იქ დეჟურნათ ყოფილა, დასძინებოდა გიჟების ოთახში და ამ დროს ერთს გიჟს უეცრად აეღო სალდგამღაც ერთი დიდი ჯოხი, პირ-და-პირ თავში დაერტყა საწყლისათვის, რომელიც, როგორც გვითხრეს, რამდენიმე საათის შემდეგ მოკვდაო.

*** „მმართველობის მოამბეში“ დაბეჭდილია სია—თუ რამდენი მანეთის საქონელი გაუტანიათ და შემოუტანიათ 1876 წლის განმავლობაში ბაკაესის დამოკიდებების საშუალებით. ამ სიიდამ სჩანს, რომ

ქუთაისის (ფოთის და სხ.) დამოკიდებით შემოსულა ამ წელს სულ—2,073,000 მანეთის საქონელი და გაუტანიათ კი—5,213,901 მანეთისა;

ბაქოს დამოკიდებით შემოუტანიათ—3,061,344 მანეთის და 966,552 მანეთის კი გაუტანიათ.

თ ფ ი ლ ი ს ი ს დამოქნილ, შემოტანილა —3,176,202 მანეთისა.

ამ მცირე ანგარიშიდამ ცხადათ სჩანს, რომ ქუთაისის დამოქნის საშთალებით თითქმის სამი იმდენი გუუტანიათ სამზღვარ გარეთ, ვინემ შემოუტანიათ...

ამ ნაირად, ჩვენგან მანეთის საღირალი მიაქვთ სამზღვარ გარეთ, იქ ამ მანეთს ხე-ტყეს, ესთქვათ, ან მატყლს, ან ბეწვეულს ან სხვა რამ ამ გვარს გადაკეთებენ, მოაქვთ მერე ჩვენთ-ნვე და ერთი-სამად მოგვყიდიან...

„დროების“ კორრესპონდენცია

თელავი, 8 თებერვალს. მიეახწიეთ იქამდის, რომ ახლანდელი ომიანობა მიწურეაზედ მისდგა. ბაზეთებიდგან ეკითხულობთ, რომ უნდა შესდგეს კონფერენცია, სადაც უკთავრესი ევროპის სახელმწიფოების წარმომდგენელი პირები მოილაპარაკებენ იმ პირობებზე, რომელნიც იქნებიან დამბოლოვებელნი ამ ომისა. ამედი ვიქონიოთ როგორმე მოფლებენ ბოლოს იმ ჟლეტა-ჟლეტას, რომელიც ასე უწყალოდ ამცირებს ხალხს რიცხვით, რეენის ხასიათით, აღარიბებს ქონებით.

დამარცხება ოსმალოს ჯარისა მოასწავებდა დიდო-ლეკების დამარცხებასაც; ამის შედეგი ის არის, რომ ჩვენ, ქახელებს, სრულიად დეგვეკარგა შიში, იმათგან წამონიავებული. რასაკვირველია, ზოგიერთი დედა და ცოლი თრთიან ტელეგრამმისა ანუ წიგნის გახსნაზედ, რომელნიც მოსდით ბრძოლის ველზე გაგზავნილ შვილისაგან ანუ ქმრისაგან; მაგრამ, მგონია იმათაც ჩქარა ეღირსოთ დაბრუნება თავიანთ საყვარლებისა....

ახლა ყოველი გლეხ-კაცი დამშვიდებით შეუდგა თავის სახნავ-სათესს; ეაჭარმა ხელ და მუკელ გაშლით გააღო თავისი ლუქანი; სასამართლომ თავისებურათ დაიწყო წარმოება; ერთის სიტყვით, ყველამ დაანება თავი დაქანგებულ და უჩახმახო თოფებს, რომელნიც უწყალო ქახა-ბუხით ყურთა-სმენას უკარგავდა გამგონთ....

ამის შეხედვით ჩვენი სასწავლებლებიც უნდა იწყობდნენ თავიანთ ჩვეულებრივ წარმოებას; დროებით გადატანილ-გადმოტანილი ერთი სოფლიდგან ანუ ქალაქიდგან მეორე სოფელში ანუ ქალაქში—უნდა ბრუნდებოდეს, რასაკვირველია, თუ საჭიროება მოითხოვს. პირველ ნაწილზე, სწავლის დაწყებაზე, ვერას მოგახსენებთ, რადგანაც არა ვიცი-რა; მეორეზე ვეტყვით, რომ არ დაინახეს საჭიროთ სიმაგრე საცხენესიდგან სამხედრო სასწავლებელი, დიდ-ლეკების აჯანყების დროს დროებით გადმოტანილი ქ. თელავს—უკანვე გადაეტანათ.

მკითხველი მკითხამს, უთუოთ შკოლაზე უნდა თქონ რამეო: თუ მაგრეა, დაგვანებეთ თავი, გვეყოფა მაგთენი ჭიკინი ერთს და იგიეზე, ყურის სმენა ნუ წაგვართვით. რა ვქნა, მკითხველო, ავათ-მყოფს რაცა სტკივა, სულ იმაზე შეესჩიელის თავისთან მიდგენილ ექიმს, ეჩიჩინება და შესტირის ყველა მინუტს და საათს იმაზე; იქნება ექიმმაც მოიძულოს, მაგრამ ითით ის ვერ მოაშლევინებს ტირილს და შეჩიველას....

სიმაგრე საცხენესი, სადაც აჯანყების წინ იმყოფებოდა სამხედრო სასწავლებელი, მდინარე ალაზნის მარცხენა მხარეზე დევს,—თელავზე, მგონი, ორმოც-და-ათ ვერსზე, გარშემორტყმული აქვს მახლობლად მრავალი სოფლები და სამხრეთ და ჩრდილოეთ-დასავლეთი მხარე ქაიყისა მასთანზ უფრო ახლოს არის, სანამ თელავთან, ასე რომ იქაურ მცხოვრებლებს საცხენეში ფურო შეუძლიანთ გაგზავნონ შვილები, სანამ თელავში. ეაკით რა მიზეზისთვისაც გადმოიტანეს საცხენესიდამ სამხედრო სასწავლებელი აქ, თელავს. მაგრამ ის კი არ ეიკით, რა მიზეზისთვის დაადგეს სამუდამოთ აქ, როცა ყველა ოკრუგის, უეზდის და რამდენიმე სოფლის მცხოვრებლებს ერთათ, რაც ახლო ექნებათ თავიანთი ცხოვრების უმთავრესი მონდომილობის დასაკმაყოფილებელნი ადგილნი, მაგალითათ სამსაჯულო, სადაც შეეძლებათ სიახლოვის გამო თითონვე წაიღონ თავიანთი საქმის გარჩევაში და არ უჩნდებოდნენ შუამავლები, რომელთაც ჩვენ ადვოკატებს ვეძახით და რომელნიც ასე უწყალოდ ჭყლეფამენ ხალხს; ბაზარი, სადაც შეუძლიანთ თავიანთი შრომა პირ-და-პირ გაასალონ და არ ერეოდნენ აქაც შუამავლები, რომელთაც ჩვენ სპეკულიატორებს ვეძახით; აგრეთვე სასწავლებლებიც, სადაც ბავშვები მათი დედამ ვანათლების მისაღებათ და სხვა ამ გვარი საგნები,—იგინი უფრო შეელენ სიმდიდრეში და კეთილ-ღლეობაში. წინაალმდეგ ამისა ეხედამთ იმაში, რომ ჩვენი მარის პედაგოგიური ადმინისტრაცია ცდილობს, რომ მოაგროვოს, უმთავრესი სასწავლებლები ერთ ალაგს, რის მაგალითსაც სიმაგრე საცხენისიდგან სამხედრო სასწავლებელის ქ. თელავს გადმოტანაში ეხედამთ.

რა მეთქმოდა იმაზე, რომ ქ. თელავს არ ყოფილიყო იმ გვარი სასწავლებელი, როგორც საცხენისის სამხედრო შკოლა! მაშინ, რასაკვირველია, არ-მთუ არ შეიძლებოდა ამ სასწავლებლის აქ გადმოტანა, არამედ შეუძლებელი იყო. რა ქნან ალაზნის გაღმა საცხენესის მახლობ სოფლის მცხოვრებელმან, ვინიცობაა უნდოდეთ თავიანთი შვილები ამ სასწავლებელში გაზარდონ? უნდა იარონ ორმოც-და-ათ ვერსზე შვილების გასამწესებლად თელავის სასწავლებლებში და რამთენჯერ მიაბრუნ-მოაბრუნებენ ამ საქმეზე, რამთენ დაეხარჯებათ მათ ამ მიბრუნ-მობრუნებაზე! ამასთან რამთენი ამ გვარი დაბრკოლება ექნებათ მაშინაც, როცა შეიყვანენ სასწავლებელში თავის შვილებს და მოუნდებათ ნახვა, ან გამოყვანა იქიდგან დროებით უქმეების დროს!

ზემო-მხრელი

წერილი რედაქტორთან

უფალო რედაქტორო! ეკერ ნებენ ბეჭერეს მომატებულ ნაწილს—[illegible] გლეხ-კაცებმა და თუ სილნალელებმა, რამდენიმე წელიწადია, დაიწყეს თამბაქოს თესვა თუ ქაზიყში და თუ ლაგოდახისკენ, რადგანაც დიდ სარგებლობას ხედამენ ამ გვარ გარჯილობითა და მუშაობით და ინახამენ თავიანთ წლის მონაგარ უკანასკნელი სარგებლობითა თავიანთ წვრილ-შვილებთა. ხოლოთ ამათი ერთ გვარი შეწუხება აი რაში მდგომარეობს:

რა დროსაც სრულებით გათავებენ თავიანთ მუშაობასა, შესცქერიან წლის მონაგარს ტკბილის თვალითა, მომატებული გლეხი-კაცები შემდეგ ლონდებიან თამბაქოს მაზანდის გაუგებლობაზე; არსაიდგინ არა ესმით-რა, ი'შვიათათ თუ კითხვით ერთმანეთში გაიგებენ, ისიც ახლად მოსული ეაჭრებისაგან, რომლებიც თფილისიდგან მოდიან თამბაქოს სასყიდელათ; რასაკვირველია, ესენი დანამდვილებით არ ეტყვიან, რადგანაც ყველა კაცი თავის სარგებლობას ეძებს. ამის გამო ბევრჯერ ტყუვდებიან და რჩებიან თავიანთ წლის მუშაობიდგან უკმაყოფილოთ.

ამისათვის გთხოვთ, უ. რედაქტორო, რადგან თქვენ პატიოსან გაზეთს დიდი გავლენა აქვს ამ ჩვენი მხრისკენ და ქართულ მკითხველებში, რომლებიც დიდ სარგებლობას ხედამენ ყოველი გვარი ანბავის გაგებით, გთხოვთ ამის შემდეგ ლირსეულათ სცნოთ თამბაქოს მაზანდის გამოცხადება თქვენი გაზეთის მაზანდების სიაში, რომლისათვისაც, როგორათაც მე, აგრეთვე ჩემთან ყოველი თამბაქოს მთესველები დაგრჩებით დიდათ მადლობენ ლი. *)

ალექსანდრე სკრებრიაკოვი.

14-ს თებერვლისას, სილნალი.

ნარევი

ბაზეთის „Голосъ“ ხარკოველ კორრესპონდენტს მოსვლია შემდეგი წიგნი ოსმან-ფაშისაგან, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, ამ ჟამად ქალაქში ცხოვრებს:

„მოწყალეო ხელმწიფევ! ზოგიერთს რუსულ გაზეთებში, როგორც მითხრეს, დაბეჭდილი ყოფილა, ვითომც ჩემს ხელ-ქვეეთ მყოფს ოსმალოს ჯარებს ცოცხლად დაემარხოთ ალევნაში

*) ვასრულებთ უფ. სკრებრიაკოვის თხოვნას მით უფრო თამბაქოს წარმოებამ არამ თუ მარტო ქაზიყში დასავლეთ საქართველოშიაც, განსაკუთრებით ბერიაში მარჯვედ მოიდგა ფესვი. ღღეანდელი ნომრიდამ. სხვათა შორის, მუდამ გამოცხადებული იქნება თფილისის მაზანდა თამბაქოზედ.

150 ტყვედ აყვანილი რუსის სალდათი. ბოსნიელთ აცნობოთ თქვენს გაზეთს, რომ ეს ამბავი აშკარი სიცრუეა; ჭეშმარიტება ბეჯრმა იცის. მე ჩემ დღეში არ მივსცემდი ნებას ჩემ ჯარს, რომ ამისთანა ზზეცობა ჩაედინათ.

თქვენი და სხვ.

ოსმან-ფაშა.“

***

ბერმანიაში იბეჭდება წელიწადში ორი მილლიარდი და ნახევარი ეგზემპლიარი სხვა-და-სხვა გაზეთები; ამას გარდა თოთხმეტი მილიონი ნომერი უცხო ენაზე დაბეჭდილი გაზეთი შემოაქვთ ფოსტით. მარტო ერთი გაზეთი „Gartenlaube“ ამ ჟამად მუდამ დღე 330,000 ეგზემპლიარი იბეჭდება და რედაქციას იმედი აქვს, რომ წლის დამლევს თავის ხელის-მომწერლების რიცხვს ოთხ ასათასამდინ აიყვანს.

***

ფრანცუზის მეცნიერებს ისეთი საშუალება მოუგონიათ, რომ ზოგიერთ ესრედ-წოდებულ ძვირ-ფას ქვებს, როგორც მაგალითად იაგუნდს, იზუმრუხტს და სხვას ხელოვნურად აკეთებენ თურმე ქიმიის ლაბორატორიაში. ამბობენ, რომ ეს ქვები თითქის სრულებით არ განირჩევა ბუნებით ქვებისგანო. მხოლოთ დიდი ქვების გაკეთება ვერ მოუხერხებიათ ჯერ, თორემ მაშინ ეს ძვირფასი ქვები იაფ-ფასიანებათ გახდებიან.

***

წელს შესრულდება ასი წელიწადი მას აქეთ, რაც პოლტერი და შან-შაკ-რუსსო მომკვდარან. სამზღვარ გარეთ ამ დღის დღესასწაულობის დიდის ამბით აპირებენ.

კავკასიის საბებიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავათმყოფი ქალებისა და უმაწვილების.

ქალის ავათმყოფობისათვის:

ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11-დინ—დოქტორი ოლანოვი.

ოთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დ. მ12მდინ—დოქტორი ალბანუსი.

საუმაწვილო ავათმყოფობისთვის:

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ და პარასკევობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი შანოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევა დოქტორებისა: ფლერტის, ალბანუსის და ოლანოვის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო ავათმყოფობას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში—50 კაპ., ცალკე ოთახებში კი დღეში— 1 მან.

განცხადებანი

აბრაშუმის ჭიის თესლი (კვერცხი) იტალიის მოდგმისა, საღი ისყიდება **კავკასიის სამეურნეო საზოგადოების** სადგომში (ალექსანდროვის ბაღში, უფ. მირსკის პირ-და-პირ).

ფასი თითო მისხლისა **ექვსი შაური** ერთს კაცს 10—15 მისხალზე მეტი არ მიეყიდება.

(2—1)

ისყიდება

სალამური.

ანუ ლექსთა კრება.

გამოცემული ზ. ჭიჭინაძესი.

ფასი ორი შაური.

თფილისში ე. ხელაძის. სტამბაში და ქუთაისში, ი. მესხი.

გამოვიდა და ისყიდება „ცოლი ვიტირო, თუ ფულიო?“

კომედია ალე. თუთაევისა

ისყიდება: ქალაქში—ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექს ჯიმშეროვთან, თელავს—იოსებ ქუზმანაშვილთან, ქარელს—დავით ჭეროჩაშვილთან, ხაშურისა და ბეჟათუბნის ბუფეტში, სურამს—ზაქარია არუწოვთან, ქუთაისს—იაკობ ოჰანეზოვთან და სვ. ცერვაძესთან ფოთში—ელისბარ ბაბალოვთან, ცხინვალს—თ. ივ. თაქთაქოვთან, საქაშეთს—თ. ნიკ. დიასამიძესთან, მეჯვრისხევს—მასწ. მოსე ნათაძესთან, ზორში—სტ. ზომოევთან და თვითონ აეტორთან.

(5—5)

სტუდენტს ჰსურს აძლიოს უროკები დაბალ კლასებში მოსამზადებელად.

ადრესის შეტყობა „დროების“ რედაქციაში შეიძლება. (5—5)

ისყიდება

უ. ვართანოვის წიგნის მაღაზიაში.

ეშმაკის ხარო

მდაბიური ამბავი

ალ. სა. მესხიევისა.

გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისაგან.

ფასი ერთი შაური

ჩაის მაღაზია

პ. ვ. პოპოვისა,

რომელიც იმყოფებოდა ბალაეინის პროსპექტზე, შიოევის სახლებში, ამ ჟამად გადატანილია ერევნის მაიდანზე, ტერასატუროვის სახლებში. პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც კარგი, სუნნოვანი ჩაი ნებავს, მომართოს პირ-და-პირ ჩემთან.

თფილისის მეორე გილდიის ვაჭარი

რაჭდენ ბედინიძე

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ახალციხეს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ.
და სამზღვარ გარეთ:	
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 12 თებერ.		
ერთი ინგლისი ლირს:		
ლონდონში 23 ბ. ნსი.		
პარიეში 263 სანტიმი.	—	78
ესკონტი (სარგებლისფასი)	—	62
ბანკის ბილეთი 5%	7[illegible]	-
მოგებიანი (პირველის [illegible]	95	[illegible]
მოგებიან. (მეორე სესხი)	234	25
	233	5[illegible]
ბირაოს ფურცლები:		
თ'ფილ. საბნ. ბანკისა.		—
ხერსონის ბანკი		
მოსკოვის . .	83	25
ოქრო 1/2 იმპერიალი. .	83	50
	7	62
აქციები:		
ოდესის საკერძო ბანკის	177	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემ[illegible]	527	—
ქავკაზის და მერკურის, .	225	—
პირვ. საზღვევ. საზ. ბ.	745	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	—

მაზანდა

	მან.	კაპ
თფილისი, 14 თებერ.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ.	1	90
ფქვილი წითელი . .	1	70
ქერი ფუთი . . .	1	40
ბამბა ერევნისა, ფუთი .	8	—
— ამერიკისა, ფუთი . .	8	30
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	12	—
მატული თუშური ფთ.	8	40
— თარაქამისა ფთ. .	4	30
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ქონი, ფუთი. . .	6	40
ქონის სანთელი ფუთი.	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	14	40
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	90
— ცხვრისა, ლიტრა .	—	90
სპირტი, გრადუსი .	—	15
შაქარი, ბროკ. ფუთი .	7	80
— ფხვნილი ფუთი . .	5	90
ყავა გრგვალი, გირვ. .	—	80
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	13	50
თამბაქო, ფუთი . .	—	—

дозволено цензурою Тифлисъ, 14 Февраля 1878 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.